საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირემაძე ვალერიან ანდრიას ძე

ირემაძე ვალერიან ანდრიას ძე (22. III. 1922, სოფ. უცხერი, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი, – 7. X. 1982, ქუთაისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი.

დაამთავრა ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1944), რ-ის დასრულების შემდეგ იქვე იყო *პოლიტ.* ეკონ. კათედრის თანამშრომელი, შემდეგ კი – კათედრის გამგე (1960–74), პრორექტორი (1962–72). 1949–52 შეთავსებით მუშაობდა საქ. სსრ *პოლიტ.* და მეცნ. ცოდნის გამავრცელებელი საზ-ბის საქალაქო, ხოლო შემდეგ საოლქო განყ-ბის პასუხისმგებელ მდივნად.

ი-ის სამეცნ. შრომები ეხება ქიმ. მრეწველობის განვითარების საკითხებს საქართველოში. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. მონოგრაფიებისა.

თხზ.: ლითოფონის წარმოების განვითარებისა და ეკონომიკის საკითხები, თბ., 1961; ქიმიური მრეწველობის განვითარება საქართველოში, თბ., 1978.